ახალი ხარაგაული

№327 (19), 8 აგვისტო, 2016 წ.

რატომ მოითხოვდნენ დეპუტატები საკრებულოს თავმჯდომარის გადაყენებას

პირველ აგვისტოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე დეპუტატებმა საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ იმსჯელეს. ინგა მაღრაძის მოსალოდნელი იმპიჩმენტის თაობაზე წერილობითი განცხადება დამსწრე საზოგადოებას ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ, ვარლამ (ტატო) თავზარაშვილმა, გააცნო.

აღნიშნულ პროცესებს ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი, ნოდარ ებანოიძე, „რესპუბლიკური პარტიის“ წევრები, „თავისუფალი დემოკრატების“ ბაღდათისა და ხარაგაულის საარჩევნო ოლქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, ზურაბ მაჭავარიანი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელი, ზაალ გორგიძე, საერთაშორისო გენდერული თანასწორობის ქსელის კოორდინატორი, მაია კუპრავა - შარვაშიძე და საკითხით დაინტერესებული სხვა პირები ესწრებოდნენ.

საკრებულოს სხდომა რამდენიმე საათის განმავლობაში დაძაბულ რეჟიმში მიმდინარეობდა. „რესპუბლიკური პარტიის“ წარმომადგენლებისა და ზურაბ მაჭავარიანის მხრიდან „ქართული ოცნების“ წევრების მისამართით არაკორექტული და შეურაცხმყოფელი სიტყვები ხშირად ისმოდა. მიუხედავად სხდომის სპიკერის, მანანა ბარბაქაძის, არაერთგზის მოწოდებისა, შეენარჩუნებინათ სიმშვიდე, ხმაური და სიტყვიერი დაპირისპირება კვლავ გრძელდებოდა. აშკარა იყო, საზოგადოების გარკვეულ ნაწილს სხდომის ჩაშლა სურდა, თუმცა ქალბატონმა მანანამ ამის საშუალება არ მისცა და რამდენიმეს დარბაზის დატოვებაც მოსთხოვა.

საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების პროცედურები, კანონის თანახმად, ფარული კენჭისყრით მიმდინარეობდა. 35 დეპუტატიდან კენჭისყრაში მონაწილეობა 31-მა მიიღო. ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა პროცესებში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. საბოლოოდ, ინგა მაღრაძის თანამდებობიდან გადაყენებას მხარი 17-მა დეპუტატმა დაუჭირა, 10 - კი მისი თანამდებობაზე დარჩენის მომხრე აღმოჩნდა, ხოლო 4 ბიულეტენი, რომელშიც ინგა მაღრაძის თანამდებობიდან გადაყენების მომხრის პოზიცია იყო დაფიქსირებული, იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ ბათილად იქნა ცნობილი.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით, საკრებულოს თავმჯდომარის გადასაყენებლად უმრავლესობას ერთი ხმა დააკლდა.

შემაჯამებელ ოქმს კომისიის ორმა წევრმა, ვარლამ ჭიპაშვილმა და შალვა ლურსმანაშვილმა, ხელი არ მოაწერა. მიზეზად კი კომისიის მიერ ოთხი ბიულეტენის არასწორად ბათილად ცნობა დაასახელეს.

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე, ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი, აცხადებს, რომ ინგა მაღრაძემ თანამდებობა თავად უნდა დატოვოს, რადგან ოცმა დეპუტატმა მის გადაყენებას მხარი დაუჭირა და ბიულეტენები ტექნიკური ხარვეზების გამო გაბათილდა.

თავზარაშვილი იმ არგუმენტებზეც საუბრობს, რის გამოც უმრავლესობა ინგა მაღრაძის გადადგომას მოითხოვდა.

„საკრებულოს წევრთა უმრავლესობასთან კომუნიკაცია არ აქვს. ცდილობს ვიწრო პარტიული ინტერესებით საკადრო პოლიტიკის წარმართვას. მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს მხარს არ უჭერს. ერთ-ერთი მიზეზი საკრებულოს ხარჯების არაეფექტური ხარჯვაა. კერძოდ, 2015 წელს წარმომადგენლობითი ხარჯები რაში გახარჯა, არც ერთ დეპუტატს არ გვქონდა ინფორმაცია. 2015 წელს 10 ტონა საწვავი სად გახარჯა, უცნობია. 7 თვის განმავლობაში, თვეში 300 ლარის ოდენობით, დაზიანებულ ავტომანქანაზე იწერდა საწვავს. საკრებულოს აპარატის

გაგრძელება მე-2 გვერდზე

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ხარაგაულში სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს

რამდენიმე წელია, რაც საქართველოში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ ხორციელდება. მისი ძირითადი მიზანი სოფლის სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების მოგვარება და ადგილობრივი ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციაა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ბევრი პრობლემა გადაწყდა. სოფლის კრებებზე მოსახლეობის მიერ შერჩეული პროექტები დაფინანსდა და მათზე მუშაობა შეფერხებების გარეშე ხორციელდება. მიმდინარე წელს, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტს 685 310 ლარი გამოეყო.

ამჟამად პროგრამის ფარგლებში გზების რეაბილიტაცია მიმდინარეობს ბორითში, ღორეშასა და ხუნევში. სამუშაოებისთვის ჯამში 13 500 ათასი ლარი დაიხარჯება და მას ტენდერში გამარჯვებული ი/მ “ ბაგრატ გაგოშიძე” ასრულებს. გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურ ფაზაშია საღანძილესა და ფარცხნალში. გზის რეაბილიტაცია იგეგმება ასევე ვახანის, ღეღვნის, ზვარის, წიფის, კიცხის, წყალაფორეთისა და ლაშის ადმინისტრაციულ ერთეულებში. სამუშაოების შესასრულებლად ტენდერში გამარჯვებული კომპანია უკვე გამოვლენილია და ხელშეკრულებები გაფორმებულია.

ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მოხდება მავთულბადის, სასწორის, ტაროიანი სიმინდის საფქვავი მიქსერისა და პროექტორის შესყიდვა. სოფელ ვახანში ასაწყობი რკინის კონსტრუქციის (სეფის) შეძენა იგეგმება. ღორეშაში სამშენებლო ქვის (ბლოკის), წისქვილის ქვისა და კონდიციონერის შესყიდვა განხორციელდება. ბაზალეთის, სარგვეშისა და ბორითის ადმინისტრაციული ერთეულებისთვის წყლის ავზებს შეიძენენ, ხოლო ლაშის, ბაზალეთის, სარგვეშის, ღორეშის, ბორითის, წიფის, ზვარის, მოლითის, ვახანის, ფარცხნალისა და კიცხის ადმინისტრაციული ერთეულებისთვის - პოლიეთილენის მილებს. ლაშის, ბაზალეთის, ღორეშის, ბორითის, მოლითისა და ვახანის ადმინისტრაციული ერთეულებისათვის მოხდება ცემენტის შესყიდვაც.

კიცხსა და ხუნევში, პროგრამის ფარგლებში, საყრდენი კედლები უკვე მოეწყო. ნადაბურსა და ხუნევში უახლოეს მომავალში დაიწყება ღობეების მოწყობის სამუშაოები და განსახორციელებლად 17 763 ლარი დაიხარჯება.

სამუშაოები ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდება. ეს მხოლოდ იმ ინფრასტრუქტურული პროექტების ჩამონათვალია, რომლის განსახორციელებლად ტენდერი უკვე გამოცხადდა და შემსრულებელ კომპანიებთან ხელშეკრულებები გაფორმდა. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელებული სამუშაოების შესახებ ინფორმაციას ეტაპობრივად შემოგთავაზებთ.

უხვი ნალექის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღსადგენად ხარაგაულს 204 900 ლარი გამოეყო

2015-2016 წლებში სხვადასხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ, საქართველოს მთავრობის N1553 განკარგულებით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტს 204 900 ლარი გამოეყო. ამის შესახებ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, ვლადიმერ გელაშვილმა, პირველ აგვისტოს გამართულ საკრებულოს სხდომაზე განაცხადა. ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაციით, გზების რეაბილიტაციისათვის 165,9 ათასი ლარი დაიხარჯება; ხიდების რეაბილიტაციისათვის - 31,5 ათასი ლარი; ნაპირსამაგრი და გაბიონების მოსაწყობად - 4,5 ათასი ლარი; სოფელ ვერტყვიჭალაში ზ.ლურსმანაშვილის საცხოვრებელი სახლის საყრდენი კედლის მოსაწყობად - 2,5 ათასი ლარი; წისქვილის არხის შეკეთებისათვის -0.5 ათასი ლარი.

დეპუტატებმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანას მხარი დაუჭირეს.

სამუშაოების განხორციელების მიზნით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ტენდერი უახლოეს მომავალში გამოცხადდება.

მუნიციპალიტეტის 6 თვის ბიუჯეტი 92%-ით შესრულდა

პირველ აგვისტოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე მუნიციპალიტეტის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ იმსჯელეს.

ინფორმაცია საკრებულოს წევრებს გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, ვლადიმერ გელაშვილმა, გააცნო. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2016 წლის ექვსი თვის ბიუჯეტი, შემოსულობების ნაწილში, განისაზღვრა 4 210 100 ლარით, ხოლო ფაქტობრივად მიღებულია 3 868 900 ლარის შემოსულობები. ექვსი თვის გეგმა შესრულებულია 92,0 პროცენტით, წლიურის - 43,7 პროცენტით, (წლიური გეგმა 9 231 600 ლარია, რაც გასული 2015 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლებს 220 900 ლარით აღემატება).

როგორც სხდომაზე ვლადიმერ გელაშვილმა განაცხადა, ბიუჯეტის წლიური გეგმა აუცილებლად შესრულდება და იმედს გამოთქვამს, გადაჭარბებითაც.

საკრებულოს სხდომაზე ასევე იმსჯელეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა დამტკიცების შესახებ და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების რეგულირების შესახებ.

დეპუტატების უმრავლესობამ წარმოდგენილ საკითხებს მხარი ერთხმად დაუჭირეს.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

რატომ მოითხოვდნენ დეპუტატები საკრებულოს თავმჯდომარის გადაყენებას

დასაწყისი პირველ გვერდზე

რამდენიმე წევრზე სცემდა პრემიებს და ავალებდა მათ, ეს თანხა სხვა თანამშრომლებისთვის გადაენაწილებინათ, რაც კოლეგებს შორის უთანხმოებას იწვევდა. საკრებულოს სხდომებს ძალიან ხშირად რეგლამენტის დარღვევით წარმართავს. არაერთი ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხი მოუგვარებელია. საკრებულოს რიგ წევრებს არაერთხელ მიაყენა შეურაცხყოფა. არ თანამშრომლობს აღმასრულებელ ხელისუფლებასთან და არასოდეს უჭერს მხარს ხარაგაულისთვის მეტად მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას.“ - განაცხადა თავზარაშვილმა.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, ვარლამ ჭიპაშვილის, თქმით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უმრავლესობამ საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენებას მხარი დაუჭირა, თუმცა პროცედურული დარღვევების გამო შედეგის იურიდიული გაფორმება ვერ მოხდა.

„კანონდარღვევით და მიზანმიმართულად ბათილად მიიჩნიეს ისეთი ბიულეტენები, რომლებშიც ინგა მაღრაძის თანამდებობიდან გადაყენების მომხრის პოზიცია აშკარად იყო გამოხატული. აქ, ცხადია, ძალაუფლებას ჩაბღაუჭებული პირების ჩარევა და მათი მხრიდან კანონშეუსაბამო ქმედება. პრაქტიკულად, სპეციალურად სამი დეპუტატის მიერ გამოხატული ნება იქნა უგულვებელყოფილი, რის გამოც ინგა მაღრაძე უკანონოდ ინარჩუნებს თანამდებობას. სხდომაზე მობილიზებულ იყვნენ პარტია ,,რესპუბლიკელების“ „ნაციონალების“, „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენლები. საკრებულოს წევრებს მოგვაყენეს შეურაცხყოფა, ეცადნენ სხდომის ჩაშლას, ხელი შეუშალეს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მუშაობას. დადგეს სპექტაკლები, რომლის ავტორიც გახლდათ ქალბატონი ინგა მაღრაძე (არალეგიტიმური თავმჯდომარე) და მისი „პოლიტიკური ზურგი” პარლამენტარი ნოდარ ებანოიძე.“ - განმარტა ვარლამ ჭიპაშვილმა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად, საკრებულოს თავმჯდომარის გადაყენების მოთხოვნა დეპუტატებს სამი თვის განმავლობაში აღარ შეეძლებათ.

შეგახსენებთ, რომ საკრებულოს თავმჯდომარის გადაყენების შესახებ წერილობით განცხადებას ოცი დეპუტატი (ვარლამ ჭიპაშვილი, ვარლამ თავზარაშვილი, შალვა ლურსმანაშვილი, მანანა ბარბაქაძე, გივი თხელიძე, მარინე ვეფხვაძე, ნონა ზურაბიანი, ვლადიმერ ტალახაძე, მერაბ ტალახაძე, გივი ხიჯაკაძე, გიორგი გრიგალაშვილი, ლენა აბაშიძე, დავით კიკნაძე, დავით ლურსმანაშვილი, ჯამბულ გამცემლიძე, აზა ფურცელაძე, ბესიკ ფოცხვერაშვილი, მიხეილ გელაშვილი, იუზა კელენჯერიძე, ბესიკ ტალახაძე) აწერდა ხელს.

ხარაგაულში გაბიონებისა და დამცავი კედლების მოწყობა მიმდინარეობს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში წერეთლის, ჭიპაშვილის, თაბუკაშვილისა და 9 აპრილის ქუჩებზე დამცავი კედლების მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს. დამცავი კედლების მშენებლობა ასევე დაიწყო სოფელ ჩხერში, ხ.კიკნაძის სახლთან, ვახანში საბავშვო ბაღის ეზოსთან და ლეღვნის ადმინისტრაციულ ერთეულში სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე. გარდა ამისა, ვახანსა და ლეღვანში გაბიონებიც მოეწყობა. აღნიშნული სამუშაოები რეგიონალური განვითარების ფონდიდან 99 749 ლარით დაფინანსდა, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან -5 250 ლარით. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „დალა 73“ ასრულებს.

სტუდენტების დაფინანსებისთვის 2 მილიონ 520 ათასი ლარი გამოიყო

სტუდენტებზე, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე აკრედიტირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლობენ,(სოციალური პროგრამის ფარგლებში) სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2 520 000 ლარი გამოიყო. ამ თანხიდან 1 920 000 ლარი 2016 წელს ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტებზეა გათვალისწინებული, ხოლო დანარჩენი - 600 000 ლარი კი, 2014 და 2015 წლების ერთიან ეროვნულ გამოცდების შედეგების საფუძველზე უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულ სტუდენტებზე გადანაწილდება .

სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსება შეიძლება მოიპოვოს სტუდენტმა, თუ იგი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე და ვერ მოიპოვა გრანტის სრული ოდენობა ან მოიპოვა გრანტის ნაწილობრივი ოდენობა.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით 1 920 000 ლარი გაიცემა:

206 სტუდენტზე, რომელიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდა და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღო მაღალმთიან და ეკოლოგიური მიგრაციის რეგიონებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

-170 სტუდენტზე, რომელიც ბოლო ორი წლის განმავლობაში ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლობდა და მიიღო სრული ზოგადი განათლება. ასევე სტუდენტებზე, რომლებიც 2008 წლის 7 აგვისტომდე, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, სწავლობდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ხოლო სრული ზოგადი განათლების დოკუმენტი მიიღეს ოკუპირებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.

რაც შეეხება 600 000 ლარს - გადაეცემათ სტუდენტებს, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 70 000-ზე და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის უფლება მოიპოვეს 2014 და 2015 წლების ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად სოციალურ პროგრამაში მოხვედრილმა სტუდენტმა შესაბამისი დოკუმენტები უნდა წარადგინოს ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრში 3 ოქტომბრის ჩათვლით.

მიწის რეგისტრაციის პროცედურები მარტივდება

31 ივლისიდან საქართველოში ამოქმედდება კანონი, რომელიც მიწის რეგისტრაციას ამარტივებს და მოქალაქეთათვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომს ხდის. საკანონმდებლო ცვლილებების ავტორი იუსტიციის სამინისტროა. ცვლილებების მიზანი იმ სირთულეების აღმოფხვრაა, რომელთაც მიწის ნაკვეთების მფლობელები ქონების რეგისტრაციის პროცესში აწყდებიან. კანონის თანახმად, მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის პროცედურა მარტივდება; იხსნება ბარიერები, რომლებიც მესაკუთრეს ექმნებოდა, ხოლო რეგისტრაციის პროცედურა წახალისდება.

ახალი კანონი უძრავი ქონების რეგისტრაციის პროცედურების გამარტივებასა და მესაკუთრის უფლებების დაცვაზეა ორიენტირებული.

გატარებული ცვლილებების შედეგად, ამზომველების საქმიანობა სერტიფიცირებას დაექვემდებარება და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდება აზომვითი ნახაზის ერთიანი სტანდარტი. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელს შეეძლება, ადგილზე გადაამოწმოს სარეგისტრაციოდ წარდგენილ საკადასტრო ნახაზზე დატანილი მონაცემების სისწორე. შეიქმნება სერტიფიცირებულ ამზომველთა ქსელი, ხოლო სერტიფიცირება შეეხება იმ ამზომველებს, ვინც პროექტში მიიღებს მონაწილეობას.

სახელმწიფო მოქალაქეს დაეხმარება საკუთრების დამადასტურებელი საბუთების მოძიებაში

ახალი კანონის თანახმად, საჯარო რეესტრი რეგისტრაციის პროცესის თანამონაწილე გახდება. დოკუმენტების, მათ შორის, საარქივო დოკუმენტაციის მოძიებაში მოქალაქეს საჯარო რეესტრი დაეხმარება. იზრდება იმ დოკუმენტაციის ჩამონათვალიც, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება მიწის რეგისტრაცია. ცვლილებების თანახმად, ქონების რეგისტრაციაზე უარის მიზეზი მხოლოდ დოკუმენტებში არსებული მნიშვნელოვანი შეუსაბამობა გახდება. უმნიშვნელო ხარვეზი - მფლობელის სახელის, გვარის შეუსაბამობა-უზუსტობა ასოებში; არასწორი დაწერილობა და სხვა - აღარ გახდება მიწის რეგისტრაციის ხელისშემშლელი, თუკი პიროვნების სხვა მაიდენტიფიცირებელი მონაცემები (მაგალითად, პირადი ნომერი, საცხოვრებელი მისამართი და ა.შ.) ერთმანეთს შეესაბამება. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონებისათვის.

სახელმწიფო მესაკუთრეებს დავების მოგვარებაში დაეხმარება

ახალი კანონის ამოქმედებით სახელმწიფო მოქალაქეს დავის მოგვარების სწრაფ და იაფ მეთოდს სთავაზობს. მედიატორების, მათ შორის, სანოტარო მედიაციის მეშვეობით სახელმწიფო მოქალაქეებს საკუთრებაზე წარმოქმნილი დავების მარტივად - სასამართლო დავის გარეშე მოგვარებაში დაეხმარება.

სახელმწიფო პროექტის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოები (დოკუმენტაციის მოძიება და სისტემატიზაცია, ნოტარიუსის მიერ გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერის დამოწმება, მედიაცია, თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება, ფაქტების კონსტატაცია) უსასყიდლოდ შესრულდება, მიწის რეგისტრაცია ან ნაკვეთზე საკუთრების უფლებებში ცვლილება საჯარო რეესტრის მომსახურების საფასურის გარეშე განხორციელდება.

უკიდურესად შეჭირვებულ ოჯახებს ბავშვის საკვები პროდუქტები გადაეცათ

ა(ა) იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრისა“ და საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ერთობლივი ძალისხმევით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 8 ოჯახს საჩუქრად „ჰუმანას“ პროდუქცია გადაეცა. უკიდურესად შეჭირვებული ოჯახები, რომლებსაც ხელოვნურ კვებაზე მყოფი ერთ წლამდე ბავშვი ჰყავთ, „ჰუმანას“ პროდუქციას ყოველთვიურად ერთი წლის განმავლობაში მიიღებენ. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტიპის აქცია უკვე მეორე წელია, რაც ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ხორციელდება.

მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლების აღიარების კომისია გამგეობაში შეიქმნება

პირველ აგვისტოს საკრებულოს სხდომაზე „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივი კომისიის შექმნის შესახებ“ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე იმსჯელეს. საკითხი იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, მიხეილ გელაშვილმა, წარადგინა. გელაშვილის თქმით, აღნიშნული კომისია, კანონის თანახმად, საკრებულოში ძალადაკარგულად გამოცხადდება და გამგეობაში შეიქმნება. საკითხს დეპუტატების უმრავლესობამ მხარი დაუჭირა.

შეგახსენებთ, რომ კომისია უახლოეს დღეებში გამგეობის წევრებით დაკომპლექტდება და უფლებამოსილების ფარგლებში დაიწყებს მუშაობას.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

„თქვენი სიკეთის ვალში ვარ...“

სიკეთე მარადიული ცნებაა, ღვთიური მადლია, რომელიც არასდროს მინავლდება, დროთა სვლაში უფრო და უფრო იძენს ძალმოსილებას და კაშკაშა სხივებით გამობრწყინდება...

სწორედ ამ მადლით ვიყავი მოსილი 20 ივლისს, როცა ვიჯექი ჩემი უსაყვარლესი ქალაქის, გორის კულტურული ყოფის უმნიშვნელოვანესი კერის, გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრის მაყურებელთა დარბაზში.

დიახ, ამ დღეს დიდი ტრადიციების მქონე თეატრის სცენა, ის სცენა, რომელმაც არანაკლები ცხოვრებისეული სიბრძნე მოამადლა ჩემს თაობას, როცა გვქონდა ბედნიერება, დავმტკბარიყავით შალვა ხერხეულიძის, ქეთევან ბოჭორიშვილის, როზალია ცაბაძის, ლადო ცხვარიაშვილის, გივი ციცქიშვილის, ერვანდ არაქელოვის, ლეო მცხეთელის, მარიამ ბახტაძისა და სხვათა მიერ გაცოცხლებული სცენური სახეებით, დაეთმო ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურულ თეატრს (დირექტორი, სცენარისტი, რეჟისორი და მსახიობი ქალბატონი იზა ვეფხვაძე). წარმოდგენილ იქნა იზა ვეფხვაძის საავტორო სპექტაკლი „ამ მინის ბედი ჩემი ბედია“ , რომელიც ეძღვნება გოდერძი ჩოხელის ცხოვრებასა და შემოქმედებას. სპექტაკლს ამჯერად საქველმოქმედო დატვირთვა ჰქონდა. შემოსული თანხა გოდერძი ჩოხელის ვაჟკაცის, ნიკოლოზ ჩოხელის, ჯანმრთელობის რეაბილიტაციას მოხმარდება...

ამ კეთილშობილური იდეის ავტორი გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის კანცლერი, პროფესორი გიორგი ხორბალაძეა. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ბატონი გიორგის მეცნიერული კვლევის საგანია გოდერძო ჩოხელის შემოქმედება. მის ნაშრომში - „იების სევდა — გოდერძი ჩოხელის შემოქმედების ძირითადი ტენდენციები“ - ფართო ასპექტითაა წარმოდგენილი ნიჭიერი მწერლის ლიტერატურული სამყარო. ამ კვლევისათვის ავტორს, გიორგი ხორბალაძეს, მიენიჭა ფილოლოგიის დოქტორის ხარისხი.

... აი, ამ სცენაზე იდგა ჩემი უსაყვარლესი მოსწავლე და ჩემთვის ჩვეული შინაგანი ემოციით ვღელავდი, თუ როგორ „ჩააბარებდა“ მორიგ გამოცდას გორის მაღალი გემოვნების საზოგადოებას ხარაგაულის ლიტერატურული თეატრი, როგორ წარმოჩინდებოდა ქართლის შუაგულში იმერეთის ეს ერთი ლამაზი კუთხე...

ვღელავდი, მიუხედავად იმისა, კარგად ვიცოდი, რომ სპექტაკლის ავტორი შესაშური მეხსიერებით, ზეპირმეტყველებისა და საოცარი დეკლამაციის პრიზმაში, რასაც იზა ვეფხვაძის თვითმყოფადი სიტყვის ხელოვნება ჰქვია, თუ როგორ აამეტყველებდა გოდერძი ჩოხელის პატრიოტულ სულს, მის ამაღლებულ ყოფას. და ბატონ გიორგი ხორბალაძის სიტყვებისა არ იყოს, სპექტაკლის დასაწყისში რომ ჩავისუნთქე, მხოლოდ მაშინ ამოვისუნთქე, როცა მსახიობი მაყურებელთა აპლოდისმენტებს, მათ უსაზღვრო ემოციას, ჩვეული გრაციით პასუხობდა...

* * *

... ამ დღეს გორის უმშვენიერეს ქუჩებში ერთხელ კიდევ „შემომეგება“ აქ გატარებული სტუდენტური ცხოვრების ულამაზესი დღეები... კიდევ ერთხელ მივეახლე და ვეამბორე ჩემი სათაყვანებელი ცოდნის ტაძრის, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (ყოფილი ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის) კედლებს. აღტაცება ვერ დავმალე, როცა გავეცანი სასწავლო უნივერსიტეტის სიახლეებს, ვიხილე რეაბილიტირებული კორპუსები, კაბინეტ-ლაბორატორიები, რაც უდავოდ მისი პროფესორ-მასწავლებლებისა და ენერგიული რექტორის, პროფესორ გიორგი სოსიაშვილის, ძალისხმევის შედეგია. და მაშინვე მომაგონდა 2008 წლის აგვისტოს კოშმარული დღეები...

... შვილების მოსანახულებლად თბილისში ჩასულს, უკან დაბრუნება დამიგვიანდა, რადგან საგზაო კავშირი გაწყდა საქართველოს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. როცა გზის გახსნის პირველ დღესვე გამოვეშურე ხარაგაულისაკენ, მანქანის მესაჭე ახლობელს ვთხოვე, რომ გორში შეგვევლო. აბა ვინ გაუძლებდა ბომბებით დასეტყვილი ქუჩების, გადამწვარ-დანგრეული სახლების ხილვას... ცრემლის ნაკადი უწყვეტად მდიოდა თვალთაგან, როცა ჩემი სათაყვანებელი სასწავლებლის გაჭვარტლულ-გამურულ კედლებს ვეამბორე და მეჩვენებოდა, რომ ჩემს სულისშემხუთველ სევდას ერწყმოდა ჩვენი მოძღვართმოძღვრების: ოთარ ჩხეიძის, შოთა ქურდაძის, ქეთევან მთიულიშვილის, ნოდარ ალანიას, ნოდარ უთურგაიძის, ნიკოლოზ გუგუგშვილის, სიმონ გაჩეჩილაძის, ნიკოლოზ კანდელაკის, მირიან ეფრემიძის, სერგი მაკალათიას, მიხეილ მამფორიას, მიხეილ გოცაძის, სევერიან ყალიჩავას, ტიტე სარიშვილის, მანასე მიხელაშვილის, მამია ყოლბაიას, გრიშა ჩხარტიშვილის, თედო ბეგიაშვილის, ვიქტორ პავლიაშვილისა და მათი უსაჩინოესი წინამძღოლის, გიორგი ხარაულის, გოდება...

* * *

ძვირფასო გორელებო!

სიყვარული რომ ბოროტებასა და სიძულვილს ამარცხებს, ეს სრული ჭეშმარიტებაა. ეს ნათლად ჩანს თქვენს შემართებაში, თქვენს შრომისმოყვარეობაში, როცა კვლავ გააბრწყინეთ თქვენი ქალაქი, მისი ქუჩები, აღადგინეთ დანგრეული, მტვრადქცეული... თუმც უკურნებელია ჭრილობა იმ დღეებისა , მშვიდობიან ადამიანთა სიცოცხლე რომ შეიწირა... რა უშველის იმ მავთულხლართებით გამოწვეულ ტკივილს, მარტო თქვენი „განაპირა“ სოფლების კი არა, ყველა ჩვენგანის გულში რომ დაიდო ბინა...

მახარებს, რომ ასე დიდსულოვნად გაუძელით და უძლებთ ათასგვარ სიავეს, რომ თქვენში ოდნავადაც არ შენელებულა სიკეთისკენ სწრაფვა, თანადგომის დიდი სურვილი...

თქვენი სიკეთით თითქოს გოდერძი ჩოხელის შიშიც გააფერმკრთალეთ.

„მე იმის მეშინია, -წერდა გოდერძი ჩოხელი, - რომ შეიძლება ფიზიკურად გადავრჩეთ, მაგრამ სულიერად გავნადგურდეთ, რადგან ვამჩნევ, თუ როგორ გეგმაზომიერად ხდება ქართული სულის დეგრადაცია, წაშლა.“ დამეთანხმებით , რომ ეს არაა კონკრეტულად ერთი პიროვნების შიში. ეს შიშია, რეალური ხედვიდან გამომდინარე, ერის მაჯისცემაზე სმენაგამახვილებული საზოგადოების იმ ნაწილისა, რომელიც ერთხელ კიდევ შეგვახსენებს: ვინ ვართ, რანი ვართ, საიდან მოვდივართ და საით მივდივართ...

აი, ამ ჯანსაღი საზოგადოების ნაწილი ხართ თქვენ, ძვირფასო გორელებო!

და დღეს გორის სახელმწიფო თეატრის სავსე დარბაზმა დაამტკიცა თქვენი არჩევანი - გზა ხსნისა ურთიერთთანადგომაშია, რომ „ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და ვეცადოთ, როგორმე უკვდავვყოთ ერთმანეთის სული...“

თქვენგან გაღებული ყოველი თეთრი (მაპატიეთ, სპექტაკლზე შემოსული საქველმოქმედო თანხა ხომ გარკვეულად სოლიდურია!) იმ ახალგაზრდის ჯანმრთელობის აღდგენას მოხმარდება, რომლის მშობელი მამის საფიცარი ქართული მზე და ქართული მიწა იყო.

დიახ, გოდერძი ჩოხელის ღვთიურმა ნიჭმა სხვაგვარი თვალით დაგვანახვა ჩვენი მამული, ადამიანი, განგვაცდევინა ადამიანებისა და იების სევდა...

და აქვე არ შემიძლია, მადლობა არ ვუთხრა ჩემს უსაყვარლეს ქალაქს, ჩემი „საუკუნო საგზლით“ დამპურებელ საფიცარ სასწავლებელს...

საგზალს, რომელსაც აგერ უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, ვუნაწილებ ჩვენს ხვალინდელ იმედს, მოსწავლე-ახალგაზრდობას...

ვამაყობ, რომ იმ დიდ სიამოვნებაში, რაც დღეს ხარაგაულის სახალხო ლიტერატურული თეატრის მესაჭემ, ქალბატონმა იზა ვეფხვაძემ, განგაცდევინათ, ჩემი, როგორც მისი სიტყვიერების მასწავლებლისა და კლასის ხელმძღვანელის, ძალზე მოკრძალებული წვლილიცაა.

სპექტაკლის შემდეგ მირეკავენ, მეხმიანებიან „ხარაგაულელი გორელები“, სტუდენტობის პერიოდის ნაცნობ-მეგობრები...

მადლობა თქვენ, შიდა ქართლის ძვირფასო საზოგადოებავ, ჩემო უსაყვარლესო გორელებო!

მინდა, თქვენდამი მადლიერება პოეტის სიტყვებით დავასრულო:

„თქვენი სიკეთის ვალში ვარ,
აქ როგორ გეტყვით ყველასა...“

პატივისცემით,
მერი გიორგიძე,
ხარაგაულის მესამე საჯარო (ყოფილი რკინიგზის N 10 საშუალო) სკოლის პედაგოგი

სამხედრო სავალდებულო სამსახურში საშემოდგომო გაწვევა პირველი აგვისტოდან დაიწყო

საქართველოს მთავრობის N349 დადგენილებით, სამხედრო სავალდებულო სამსახურში, 2016 წლის საშემოდგომო გაწვევა პირველი აგვისტოდან დაიწყო.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, ამავე დაწესებულების გასამხედროებულ ქვედანაყოფებში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა 1 250 -ით განისაზღვრა, ხოლო სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად პენიტენციალურ დეპარტამენტში 1 103 მოქალაქით.

რა რაოდენობის მოქალაქე იქნება გაწვეული ხარაგაულიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.წვევამდელების ასაკი 18-დან და 27-წლამდეა განსაზღვრული. მათ სამედიცინო შემოწმებას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ხოლო კოორდინაციას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო უზრუნველყოფს.

როდემდე გაგრძელდება გაწვევა? დროის რა მონაკვეთს გაატარებენ წვევამდელები სავალდებულო სამხედრო სამსახურში? ამ და სხვა კითხვებზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსი, დავით ლომსაძე, გვესაუბრება.

-სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა წელიწადში ორ ეტაპად მიმდინარეობს. ესენია საგაზაფხულო და საშემოდგომო ეტაპი. ახლა საშემოდგომო გაწვევა დაიწყო, რომელიც 31დეკემბრამდე გაგრძელდება. წვევამდელები სამხედრო სამსახურში ერთ წელს გაატარებენ.

თუ წვევამდელი გამოძახების შემდეგ დანიშნულების ადგილზე არ გამოცხადდა, რას ითვალისწინებს კანონი?

-წვევამდელი იღებს უწყებას და ის ჩაბარებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ უწყებას მისი ოჯახის წევრები: დედა, მამა, ბებია, ბაბუა, და, ან ძმა, ასევე ოჯახის ნებისმიერი სრულწლოვანი წევრი მიიღებს. წვევამდელის ჯარში გაწვევის საკითხზე გაგზავნილი წარმომადგენელი მათ წარუდგენს დოკუმენტს და ვიზიტის მიზეზს განუმარტავს. დოკუმენტში დატანილი იქნება კომისარიატში გამოცხადების ბოლო ვადა, რომელსაც თან უნდა დაერთოს ხელმოწერა უწყების ჩაბარების თაობაზე. თუ მოქალაქე გამწვევ კომისიაზე დათქმულ ვადებში არ გამოცხადდება, მას ადმინისტრაციული ჯარიმა 1000 ლარი დაეკისრება.

რა სახის სამედიცინო შემოწმება უტარდებათ წვევამდელებს და რა შემთხვევაში ხდება სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან გათავისუფლება ?

-როდესაც წვევამდელი დანიშნულების ადგილზე გამოცხადდება, მისი სამხედრო სამსახურში გაწვევის თაობაზე გადაწყვეტილებას სპეციალური კომისია ღებულობს. შემდეგ ეტაპზე ისინი გადაყვანილ იქნებიან თბილისში სამედიცინო-საექსპერტო კომისიაზე. რაც შეეხება სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან გათავისუფლებას, ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რა პრობლემები დაუდგინდება წვევამდელს სამედიცინო შემოწმების შემდეგ.

რა პრინციპით ხდება წვევამდელების გადანაწილება სხვადასხვა უწყებაში და ითვალისწინებთ თუ არა წვევამდელთა სურვილს?

-წვევამდელთა სურვილი გათვალისწინებულია, თუმცა დანაყოფები, რომლებშიც მათ უნდა გაიარონ სავალდებულო სამხედრო სამსახური, თვითონვე გააკეთებენ შერჩევას. წვევამდელი სამედიცინო კომისიასთან ერთად გასაუბრებასაც გადის, სადაც ყურადღება ექცევა მათ ოჯახურ მდგომარეობასა და ნასამართლეობას.

როგორც ვიცით, პიროვნებას შეუძლია სამხედრო ვალდებულება მოიხადოს არასამხედრო ალტერნატიულ სამსახურში. როგორ ხდება ალტერნატიულ სამხედრო სამსახურში მოხვედრა და რა შემთხვევაში არ იძახებენ მოქალაქეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში?

-წვევამდელი, რომელსაც აქვს ალტერნატიული სამსახურის გავლის სურვილი, მოდის სამხედრო სამსახურში და ამის თაობაზე განცხადებას აკეთებს. სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევას არ ექვემდებარებიან სტუდენტები, დედისერთა ახალგაზრდები და ორი შვილის მამები.

ეკა შავიძე

ხარაგაულის კულტურისა და დასვენების პარკში სპორტული კომპლექტის მოწყობა რამდენიმე დღეში დასრულდება

ხარაგაულის კულტურისა და დასვენების პარკში სპორტული კომპლექტის მოწყობა მიმდინარეობს. მსგავსი ტიპის პროექტი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ინიციატივით საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში განხორციელდება. სამუშაოებს შ.პ.ს. „ბერიკონი 404“ ასრულებს და პროექტში ششმ პირთა ორძელიცაა გათვალისწინებული. სამუშაოები ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რამდენიმე დღეში დასრულდება და სპორტული ინვენტარით სარგებლობა ნებისმიერ მსურველს უსასყიდლოდ შეეძლება.

ჯიცხი და ვარძია საყოველთაო ინტერნეტიზაციის პროექტის ფარგლებში მოხვდნენ

საქართველოს 2000-ზე მეტი ქალაქისა და სოფლისათვის ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტის ქსელი შეიქმნება. „საქართველოში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამა“ მთავრობამ უკვე დაამტკიცა.

პროექტს ფონდი „ქართუ“ და ეკონომიკის სამინისტროს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო ერთობლივად ახორციელებენ. სააგენტომ დააფუძნა სპეციალური კომპანია, ერთეული - Open net-ი, რომლის მეშვეობით, კერძო და სახელმწიფო სექტორს შორის პარტნიორობა ხორციელდება.

პროექტი, რომლის ღირებულება დაახლოებით 150 მილიონი დოლარია, ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებით განხორციელდება და მისი მიზანი საქართველოს ყველა რეგიონისა და სოფლის ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელით დაფარვაა.

პირველი ფაზის ფარგლებში ინტერნეტი ხელმისაწვდომი გახდება საქართველოს 10 რეგიონის - აჭარა, გურია, იმერეთი, კახეთი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, შიდა ქართლი - 500-მდე სოფლისთვის. აღნიშნულ პროექტში ხარაგაულის ორი სოფელი- კიცხი და ვარძია- ჩაერთვება. საერთო ჯამში, პროექტის ფარგლებში ინტერნეტი საქართველოს 2000 სოფელში შევა და მთლიანობაში ხელმისაწვდომი მოსახლეობის 91%-სთვის გახდება.

ეკა შავიძე

მადლობას გიხდით!



ჩვენი პატარები, ხარაგაულის N1 ბაღის, ჯგუფი „ნერგების“ აღზრდილები, მოუთმენლად მოელიან იმ ღამაზ დღეს, როცა არჩეული სკოლის კარს შეაღებენ და „აი იას“ უქრობი შუქით შეუდგებიან გზას ცოდნის დიდი მწვერვალებისაკენ.

საბავშვო ბაღის თბილი ბუდისა და რუდუნებით მომუშავე აღმზრდელთა წყალობით მათ უკვე გამომუშავებული აქვთ: სამშობლოს სიყვარულის, უფროსებისადმი პატივისცემა - მოკრძალების, ურთიერთსიყვარულისა და ცოდნისაკენ სწრაფვის გრძნობები. მათი მზაობის დონე გვაძლევს იმის საფუძველს, რომ თქვენგან ნასათუთევი აღზრდილები სასკოლო რეჟიმში წარმატებით გამოავლენენ თქვენი თავდადებული შრომის შედეგს.

გვინდა, გამოვხატოთ დიდი მადლიერება და კვლავ მრავალი თაობის დაფრთიანება ვუსურვოთ ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორს, ირმა სებისკვერაძეს, ბაღის გამგე, ნანა რევაზიშვილს, N1 ბაღის ჯგუფი „ნერგების“ აღმზრდელ - მასწავლებლებს - ია თაბუკაშვილს, ია შარიქაძეს, თანაშემწე ეკა შარიქაძეს.

უფლის მადლმა გიწინამძღვროთ მარად თქვენ და თქვენს აღზრდილებს.

დიდი მადლიერებითა და პატივისცემით,

ჯგუფი „ნერგების“
აღზრდილთა მშობლები

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ზვარის „კარვების ბანაკში“ ახალგაზრდები დაისვენებენ

ზვარემ „მშვიდობის კორპუსს“ Life camp-ს უმასპინძლა. „კარვების ბანაკში“ საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან 45-მა ახალგაზრდამ დაისვენა. ბანაკს ათი ლიდერი ჰყავდა, მათგან რვა „მშვიდობის კორპუსის“ ამერიკელი მოხალისეა. „მშვიდობის კორპუსის“ ბანაკი ზვარეში 5 აგვისტოს დასრულდა. ამის შემდეგ „კარვების ბანაკს“ ხარაგაულელი ახალგაზრდები ესტუმრნენ. ხარაგაულელებს ზესტაფონის, თერჯოლის, ბაღდათისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტების ახალგაზრდებიც შეუერთდნენ. მათ შორის იყვნენ წარჩინებული და სათავგადასავლო ტურ-თამაშებში გამარჯვებული მოსწავლეები. ბანაკი 15 აგვისტოს დაიხურება. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრის დირექტორის, ბერიკა თურმანიძის, ინფორმაციით, „მშვიდობის კორპუსის“ წარმომადგენლები თებერვალში ჩამოვიდნენ ხარაგაულში, ზვარის ტერიტორია დაათვალიერეს და თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს. მისივე განმარტებით, ეს არის პირველი პროექტი, როცა ტურიზმის სამსახურს ბანაკის ორგანიზება დაუკვეთეს (ღირებულება 6700 ლარს შეადგენდა). ხოლო „კარვების ბანაკის“ ტექნიკური მოწყობა, ტრანსპორტირება და კვება ტურიზმის ცენტრმა უზრუნველყო. ზვარის ბანაკის ფუნქციონირება მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობისთვის და მთლიანად ხარაგაულისთვის. იმისათვის, რომ აქ ინფრასტრუქტურა მოეწყოს, აქტიურად მუშაობს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, კობა ლურსმანაშვილი. ზვარეში იქნება, როგორც ზამთრის, ასევე საზაფხულო ბანაკები, რაც მნიშვნელოვანია ტურიზმის განვითარებისთვის.” - აღნიშნავს ჩვენთან საუბარში ტურიზმის ცენტრის დირექტორი, ბერიკა თურმანიძე.

„მშვიდობის კორპუსის” დირექტორი საქართველოში სტივენ სმიტი: “მშვიდობის კორპუსი” საქართველოში 2001 წლიდან მუშაობს. ამჟამად 117 მოხალისე გვყავს, რომლებიც საქართველოს მასშტაბით საჯარო სკოლებსა და ორგანიზაციებში მუშაობენ.

გარდა ამისა, მოხალისეები მუშაობენ სხვადასხვა ორგანიზაციასთან, რომ მხარი დაუჭირონ და გააკეთონ ისეთი ბანაკები, როგორიც ზვარეში მოეწყო. ზვარე არაჩვეულებრივი ადგილია ასეთი ტიპის ბანაკებისთვის. მსგავსი ბანაკები ახალგაზრდებს სხვადასხვა ტიპის უნარ - ჩვევების განვითარებაში ეხმარება. ეს არის საშუალება არა მარტო შეისწავლონ და მიიღონ ინფორმაცია, არამედ დაისვენონ არაჩვეულებრივ ბუნებაში. ბავშვები დიდი ინტერესით არიან ჩართულები ყველა აქტივობაში, რაშიც მათ ამერიკელი მოხალისეები ეხმარებიან.”

სალომე მარგველაშვილი (გორის მუნიციპალიტეტი): „Life camp ჩემთვის პირველი არ არის, მაგრამ, ვფიქრობ, ზვარის ბანაკი ერთ—ერთი ყველაზე გამორჩეულია, რადგან აქ ძალიან კარგი ადამიანები გავიცანი. ოთხი დღეა, ბანაკში ვარ და ბევრი რამ გავიგე ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ. Life camp-მა დამანახვა ის, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესით უნდა ვიცხოვრო.”

გიორგი ჯიქიძე (საჩხერის მუნიციპალიტეტი): „პირველად ვარ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში. ძალიან მომწონს ბუნება და ზვარის ბანაკი. აქ მეძლევა საშუალება, ჩავერთო აქტივობებში, განვიხილოთ სხვადასხვა თემა და გავიცნო ახალი მეგობრები“.

მანანა ბაბლიძე
მთავარი სპეციალისტი
საზოგადოებასთან
ურთიერთობის საკითხებში

73 ხარაგაულელს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი მიენიჭა

22 , 25 და 28 ივლისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობაში მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსის მართვის საბჭოს მორიგი სხდომები ჩატარდა.

საბჭომ განიხილა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ნუნისში, ფონასა და გოლათუბანში მცხოვრები მოქალაქეების ინდივიდუალური განცხადება - მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების თაობაზე. აღნიშნულ განცხადებებს, საბჭოს გადაწყვეტილებით, დადებითი რეკომენდაცია გაეწიათ.

მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსის მართვის საბჭო გახლავთ სათათბირო ორგანო, რომელიც მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერაა შექმნილი.

აღნიშნული საბჭო განიხილავს ინდივიდუალურ განცხადებებს და გასცემს რეკომენდაციებს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭებისა და შეწყვეტის თაობაზე. საბოლოო გადაწყვეტილებას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი იღებს და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს.

2016 წლის პირველი იანვრიდან დღემდე ინდივიდუალური განაცხადის საფუძველზე მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი 67 პიროვნებას უკვე მიენიჭა, ხოლო ივლისის თვის საბჭოს სხდომის გადაწყვეტილებით მაღალმთიანთა მცხოვრების სტატუსის მინიჭებისთვის რეკომენდაცია დამატებით 73 მოქალაქეს გაეწია.

(იანვრიდან დღემდე სულ 192 მოქალაქეს გაეწია საბჭოს მიერ დადებითი რეკომენდაცია).

მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრების სტატუსი მიენიჭათ წიფაში მცხოვრებ: ლაშა ქოქაშვილს, ლამარა ქოქაშვილს, დემურ ქურდაძეს, ვენერა ბანცაძეს, ავთანდილ ქურდაძეს, ნელი ლაცაბიძეს, რუსუდან ქურდაძეს, კახაბერ ქოქაშვილს, ნონა კამლაძეს, ლია გელაშვილს, ჯემალ ბანცაძეს, ჯულიეტა ჩიტაძეს, ზინა ქალიაშვილს, ჯილდა მახარაპულოს, ლიდა ღამბაშიძეს, თამაზ ღამბაშიძეს, მარიამ ღამბაშიძეს, გიორგი ღამბაშიძეს, ლევან ღამბაშიძეს, მურმან ღონღაძეს, მევლუდ ღამბაშიძეს, ტარიელ ნადირაშვილს, ოქროპირ ჩიტაძეს, თამაზ ბოჟაძეს, იამზე ბაყაშვილს, ხვიჩა ბაყაშვილს, დავით ქურდაძეს, მალხაზ ღამბაშიძეს, ჯამბულ ღონღაძეს, , სანდრო ღონღაძეს, უშანგი ჩიტაძეს, მერიკო ქურდაძეს, ელდარ ქურდაძეს, ლენა ქურდაძეს, დავით ქურდაძეს, ალექსანდრე ღონღაძეს, მარო ღამბაშიძეს, ფატმან ღამბაშიძეს, ინგა ბანცაძეს, მალხაზ ბანცაძეს, გიორგი ჩიტაძეს, მზია ბანცაძეს, ბონდო ბანცაძეს, ვენერა გაჩეჩილაძეს, ნათელა სიხარულიძეს, მამუკა გაჩეჩილაძეს, ეთერ გაჩეჩილაძეს, კუკური ნოზაძეს, ნათელა მახარაპულოს, კარლო ლომიძეს, ვენერა ქურდაძეს.

ფონაში მცხოვრებ კუკური ნოზაძესა და ნუნისში მცხოვრებ თამაზ ჩაჩანიძეს.

გოლათუბანში მცხოვრებ: ნინო გორგაძეს, ლერი გოგნაძეს, გულნაზ გორგაძეს, ანდრო ღონღაძეს, ეთერ ღონღაძეს, სანდრო ღონღაძეს, მაკა ტალახაძეს, მიხეილ გორგაძეს, ოთარ ჩიტაძეს, , ლუბა ლომიძეს, ნათელა ჩიტაძეს, თამაზ ღამბაშიძეს, გიორგი ღონღაძეს, ზურაბ ხაჩიძეს, ლალი ხაჩიძეს, დავით ჩიტაძეს, სონა ღამბაშიძეს, ნაზი ლაცაბიძეს, შორენა მჭედლიშვილს, ვახტანგ ღამბაშიძეს.

ეკა შავიძე

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 32 25; ტირაჟი 1500 ცალი
დაიბეჭდა შპს „გამომცემლობა სამშობლოში“
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595 51 98 12